<u>დამტკიცებულია 2008 წლის24 ოქტომბრის</u>

<u>აკადემიური საბჭოს №24-ე სხდომის ოქმით</u>

აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

1. ეს წესი არეგულირებს ურთიერთობებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც 2005 წლამდე კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი არიან იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთა რეორგანიზაციის შედეგად 2006 წლის 15 თებერვალს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. სტუდენტები, რომლებიც 2005 წლამდე ჩაირიცხნენ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სწავლას შესაბამის საფეხურზე აფინანსებდა სახელმწიფო, მაგრამ მათი ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულებისა და სახელმწიფოს მიერ მათი სწავლის დაფინანსების ვადა (გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ აკადემიურ შვებულებაში უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად), 30 ან მეტი კრედიტის დავალიანების შემთხვევაში ვალდებულნი არიან გადაიხადონ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოცემული მომენტისათვის არსებული წლიური სწავლების პროპორციული თანხა.

3. თუკი ამ ბრძანების მეორე პუნქტში მითითებული სტუდენტების დავალიანება სემესტრში 30 კრედიტზე ნაკლებია, სტუდენტი იხდის აღდგენის გადასახადს 2008 წლის 4 აპრილის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ‘‘უნივერსიტეტის სტუდნეტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის’’ მიხედვით.

4. სტუდენტები, რომლებიც გაფრთხილების მიუხედავად 2008 წლის ბოლომდე არ გამოთქვამენ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილს არ დაფარავენ ამ წესის მეორე პუნქტით დადგენილ სწავლის საფასურს გაირიცხებიან უნივერსიტეტიდან მოქმედი წესის შესაბამისად.